საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაკუასტის ციხე

ლაკუასტის ციხე, ლაკუათის ციხე, ლაგოეთის ციხე, მდებარეობდა ლაგოდეხში. შემორჩენილია რიყის ქვითა და კირის დუღაბით ნაგები გალავნის ნაშთი. წერილობით წყაროებში ციხე იხსენიება VIII ს-ში. ჯუანშერის ცნობით, ერისმთავარმა არჩილმა (668–718) „ჴევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე“. ვახუშტი ბაგრატიონი ციხეს ლაკუათის სახელწოდებით მოიხსენიებს: „ამას ზეით, ჩდილოთ კერძ, ველსა ზედა, ციხე ლაკუათისა, მ~დ მეფის არჩილისგან ქმნული და აწ ლაგოეთად წოდებული; მაგარი, დიდშენი, გარნა აწ ოჴერი“ (იხ. ლაგოდეხი).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 1IV, თბ., 2021.